თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 23 ივლისი 2013 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ზურაბ გაბიძაშვილი –ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ზურაბ ზამბახიძე – ქ. ქუთაისის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

კახაბერ დალაქიშვილი - ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

გელა მშვენიერაძე - ქალაქ ქუთაისის მერიის ქალაქდაგეგმარებისა და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი.

ირაკლი გიორგაძე – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივ საკითხთა განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ახალი ღვარსადენი ქსელის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის (25 ობიექტი: კუპრაძის 1-ლი შესახვევი ... სავარაუდო ღირებულება 7600 ლარი) შესახებ.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის ზურაბ ზამბახიძის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისში ახალი ღვარსადენი ქსელის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №864. 17.07.2013წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: ზურაბ გაბიძაშვილმა.

კომისიის წევრებმა: ზურაბ ზამბახიძემ და გელა მშვენიერაძემ.

დაადგინეს: 1. ქალაქ ქუთაისში ახალი ღვარსადენი ქსელის მოწყობისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი „არ შედგა".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ გაბიძაშვილი

კომისიის წევრები:

ზურაბ ზამბახიძე

კახაბერ დალაქიშვილი

გელა მშვენიერაძე

ირაკლი გიორგაძე